გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 167

2025 წლის 14 ნოემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში არსებული სკვერის №43ა-ს მიმდებარედ „ხელოვნური უსწორმასწორობის“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, როლითაც მოთხოვნილია ვოლოგდის დასახლებაში არსებული სკვერის №43ა-ს მიმდებარედ სიჩქარის შემანელებელი ბარიერის მოწყობა. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში არსებული სკვერის №43ა-ს მიმდებარედ განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერი გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგ საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში არსებული სკვერის №43ა-ს მიმდებარედ განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერი გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგ საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში არსებული სკვერის №43ა-ს მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
2.განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:
ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე

საქართველო
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
ეროვნული
ბანკი
211086087